**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# ე




ე-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ე ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.



ქართული ანბანის მეხუთე ასო. მისი სახელია „ენი"; გრაფიკული სიმბოლო წინა რიგის საშ. აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ბგერისა. ასომთავრულში იწერებოდა, ნუსხურში – . ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ხუთს (5). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა ქვედა სამ ხაზში თავსდება. ე-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

---

